



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
ანალიტიკური დეპარტამენტი



17/02/2017

№2

სარჩევი

საქართველო.....	3
თბილისმა საერთაშორისო კონგრესს „ჰიდროენერგეტიკა, კასპიის ზღვა და ცენტრალური აზია“ უმასპინძლა.....	3
ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მზის პანელების წარმოებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს	4
ნამახვან ჰესების კასკადის პროექტს CLEAN ENERGY GROUP GEORGIA განახორციელებს	4
რეგიონი	6
ევროპის საინვესტიციო ბანკი “აფშერონის” საბადოში ინვესტირებით დაინტერესდა	6
ყაზახეთი აზერბაიჯანის გავლით ნავთობის გატარების გეგმებს აახლებს.....	6
თუზის ტბის გაზსაცავი იხსნება.....	8
რუსეთში „ქარის ძრავების“ პირველი პარკის მშენებლობა დაიწყო.....	10
სომხეთი-საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ტენდერში მონაწილეები უკვე ცნობილია	10
სომხეთში ენერჯის სუფთა წყაროების ხელშეწყობის მიზნით IFC 140 მლნ აშშ დოლარის ფინანსირებას უზრუნველყოფს.....	12
მსოფლიო.....	14
2016 წელს ევროპამ წარმოებული ენერჯის 90%-მდე განახლებადი წყაროებიდან მიიღო	14
ნორვეგია: Lundin Petroleum ბარენცის ზღვის სამხრეთ ნაწილში ნავთობის აღმოჩენის შესახებ აანონსებს.....	15
კანადური ნავთობის ჩინეთის მიმართულებით გადაზიდვა განხორციელდა	16
იაპონური კომპანია განახლებად ენერჯიაში 200 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს	17
ანალიტიკა	19
ენერგეტიკის სექტორის საინვესტიციო გარემოს ცვალებადი სურათი	19
გამოყენებული ლიტერატურა.....	22

თბილისმა საერთაშორისო კონგრესს „ჰიდროენერგეტიკა, კასპიის ზღვა და ცენტრალური აზია“ უმასპინძლა

15 თებერვალს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა საერთაშორისო კონგრესი „ჰიდროენერგეტიკა, კასპიის ზღვა და ცენტრალური აზია“ გახსნა.

კონგრესი წარმოადგენს მაღალ პროფესიულ პლატფორმას კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებში, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე დიალოგისათვის.



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. თბილისმა საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა „ჰიდროენერგეტიკა, კასპიის ზღვა და ცენტრალური აზია“

კონგრესის ფარგლებში, მონაწილეები საუბრობდნენ რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვან ჰიდროენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ამ პროექტებში კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის როლზე.

კონგრესში მონაწილეობდნენ ტაჯიკეთის ენერგეტიკის მინისტრი უსმონალ უსმონზოდა და სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე აიკ არუთუნიანი. სიტყვით გამოვიდნენ თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, ტაჯიკური, ყირგიზული და ქართული, როგორც სახელმწიფო ასევე, კერძო ენერგეტიკული კომპანიები. კონგრესის ფარგლებში თბილისს 100-ზე მეტი დელეგატი ესტუმრა.

კონგრესი „ჰიდროენერგეტიკა, კასპიის ზღვა და ცენტრალური აზია“ კომპანია „ვოსტოკ კაპიტალის“ ორგანიზებით გაიმართ. იგი ორ დღიანი იყო და 16 თებერვალს დასრულდა. (საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017)

ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მზის პანელების წარმოებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს

ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მზის პანელების წარმოებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. როგორც თიზ-ის თავმჯდომარე სოსო ნიბლაძე „ბიზნესკონტრაქტთან“ საუბრისას განმარტავს, დუბაიდან წარმოდგენილ ბიზნესმენებს ქუთაისში გერმანული ბრენდის მზის პანელების წარმოება სურთ. ინვესტიციის მოცულობა 12 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. პროდუქცია ძირითადად საექსპორტოდ იქნება გათვლილი, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში, მისი რეალიზება საქართველოშიც მოხდება.



SA Power Networks, N.D. Installing a solar PV system

ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიული ზონისთვის გასული წელი საკმაოდ წარმატებული იყო. თიზ-ში 35-ზე მეტი კომპანია დარეგისტრირდა. ეს შეეხება როგორც გადამამუშავებელ სამრეწველო პროექტებს, ასევე სავაჭრო ობიექტებს, რამდენიმე ქარხანა უკვე მუშაობს, ასევე სრულდება მუშაობა სპირტის ქარხანაზე, სადაც 5 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია ხორციელდება. უახლოეს 2 თვეში დაიწყებს ფუნქციონირებას მინის საწარმო, - ეგვიპტური კომპანია ადგილზე სატვირთო მანქანების საჰარეო ფილტრებს აწარმოებს და მას მიაწვდის როგორც ადგილობრივ ბაზარს, ასევე ის გათვლილი იქნება საექსპორტოდ“, - აცხადებს ნიბლაძე. (ბიზნესკონტრაქტი, 2017)

ნამახვან ჰესების კასკადის პროექტს CLEAN ENERGY GROUP GEORGIA განახორციელებს

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებული ინსტრუქციისა და პროცედურების შესაბამისად, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდმა“ 2015 წლის 24 დეკემბერს გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა ნამახვან ჰესების კასკადის

პროექტის მშენებლობა-ოპერირება-ფლობის მიზნით. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა მიიღო სამმა კომპანიამ, კერძოდ: შპს „ჯენერალ დეველოპმენტა“, POWERCHINA RESOURCES LTD-მ და CLEAN ENERGY GROUP GEORGIA LLC-მ, რომლებმაც წარმოადგინეს შესაბამისი წინადადებები.

ზემოაღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში ინვესტორის შერჩევის მიზნით, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ შექმნილმა შეფასების კომისიამ შეისწავლა თითოეული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გამარჯვებულად CLEAN ENERGY GROUP GEORGIA LLC გამოაცხადა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ნამახვან ჰესების კასკადის პროექტი ხორციელდება წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდ. რიონზე, ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ზრდას, მოსახლეობის დასაქმებას, შეიტანს წვლილს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობაში და დამატებით წარმოქმნის წლიურ 1 514 გვტ.სთ ელექტროენერჯიას, რომელიც მთლიანად დარჩება საქართველოში.
(საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი, 2017)

მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოვლენები.

ევროპის საინვესტიციო ბანკი „აფშერონის“ საბადოში ინვესტირებით დაინტერესდა

ევროპის საინვესტიციო ბანკი დაინტერესებულია პროექტით, რომელიც კასპის ზღვაში არსებული მსხვილი „აფშერონის“ საბადოს ათვისებას გულისხმობს, აღნიშნა მიმელ ბორელმა TOTAL SA-ს უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა კონტინენტალურ



ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. *Trend.Az, 2017. EIB interested in Absheron field's development*

ის სიტყვით ბაქოში 2 თებერვალს, აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრთან ნატიგ ალიევთან შეხვედრის დროს გამოვიდა.

ბორელმა „აფშერონის“ პროექტთან დაკავშირებით დაგეგმილი და უკვე შესრულებული სამუშაოების შესახებ ისაუბრა. TOTAL SA-მ პარტნიორებთან ერთად დაიწყო „აფშერონის“ საბადოს ათვისება, მაგრამ პირველი გაზის დაგეგმილ ვადებში მისაღებად საჭიროა აზერბაიჯანის დახმარება, თქვა მან.

თავის მხრივ, ნატიგ ალიევმა აღნიშნა, რომ „აფშერონის“ საბადოს ათვისება მნიშვნელოვნად გააფართოებს სამხრეთის გაზის დერეფნის შესაძლებლობებს. მან ასევე ხაზი გაუსვა TOTAL-ის მონაწილეობის მნიშვნელობას აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის სხვა საბადოების, მათ შორის პერსპექტიული „ბაბეკის“ საბადოს, ათვისებაში.

პირველი გაზის მიღება „აფშერონის“ გაზისა და კონდენსატის საბადოდან 2021 წლის ბოლოს 2022 წლის დასაწყისში იქნება შესაძლებელი.

„სოკარის“ მონაცემებით, „აფშერონის“ რეზერვი, დაახლოებით, 350 მლრდ მ³ გაზი და 45 მლნ ტონა კონდენსატია.

„აფშერონის“ პროექტის მონაწილეები არიან აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია „სოკარი (40%) და ფრანგული კომპანიები: TOTAL (40%) და Engine (20%).
(*News.az, 2017*)

ყაზახეთი აზერბაიჯანის გავლით ნავთობის გატარების გეგმებს აახლებს

ყაზახეთის ოფიციალურმა პირებმა ბოლო დროს განაახლეს მოლაპარაკებები ყაზახეთის კასპიური სატრანზიტო სისტემის (KCTS) შესახებ.

ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შორის ნავთობის ტრანსპორტირების სქემაზე საუბრები აქტიურად მიმდინარეობდა 2007-2008 წლებში. მოიაზრებოდა, რომ KCTS-ს შემადგენლობაში იქნებოდა ყაზახეთში არსებული „ესკენე-კურუკის“ ნავთობსადენი და ნავთობის ტრანს-კასპიური სატრანსპორტო სისტემა: ყაზახეთში კასპიის ზღვაზე „კურუკის“ პორტში ნავთობის ტერმინალის, ტანკერებისა და სხვა გემების, ასევე, კასპიის ზღვის აზერბაიჯანული სანაპიროს ნავთობის ტერმინალისა და მისი „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენთან დამაკავშირებელი ობიექტების ჩათვლით.



News.az, 2017. Kazakhstan revives plans for oil route through Azerbaijan

ამის შემდეგ ნავთობი „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის და/ან აზერბაიჯანისა და სხვა სატრანზიტო ქვეყნების ტერიტორიაზე განთავსებული ნავთობის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სხვა სისტემების საშუალებით საერთაშორისო ბაზარზე უნდა გასულიყო. თუმცა, პროექტის განხორციელება გაურკვეველი ვადით გადაიდო „ქაშაგანის“ საბადოსთან დაკავშირებული გაურკვეველობების და „თენგიზის“ საბადოს გაფართოების გამო.

როგორც დარგის მოთამაშეები აღნიშნავენ, ყაზახეთში ამჟამად არსებული საექსპორტო სიმძლავრეები საკმარისია ქვეყნიდან გამავალი ნაკადების უზრუნველსაყოფად.

„თუმცა, ნათელია, რომ ნავთობის სამომავლო ექსპორტთან დაკავშირებულ მზარდ ოპტიმიზმთან ერთად, რაც უკავშირდებოდა გასული წლის ორ ძირითად მოვლენას: „ქაშაგანის“ საბადოს ათვისების დაწყებასა და „თენგიზის“ საბადოს გაფართოებისათვის საჭირო 37 მლრდ აშშ დოლარის საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებას, ქვეყანას

დასჭირდება დამატებითი სიმძლავრეები და KCTS დღის წესრიგში დაბრუნდება“, - აცხადებს ჟურნალი „ნეფთე კომპასი“.

„ქაშაგანი“ განთავსებულია კასპიის ზღვის ჩრდილოეთით და წარმოადგენს ბოლო 40 წლის განმავლობაში აღმოჩენილ უდიდეს საბადოს. მასში მოპოვებადი ნავთობის მარაგი 19 მლრდ ბარელითაა შეფასებული. საბადოდან ნავთობის წარმოება ყაზახეთმა 2016 წლის შემოდგომაზე დაიწყო და 2017 წელს ამ საბადოდან 8.9 მლნ ტონა ნავთობი და 5.6 მლნ ტონა გაზის მიღება იგეგმება, მომავალ წლებში მოპოვების ეტაპობრივი ზრდით.

„თენგიზის“ საბადოდან ყაზახეთის ნავთობის წარმოების, დაახლოებით, 30% მოიპოვება. 2016 წლის ივნისში პროექტის პარტნიორებმა დაამტკიცეს საბადოს „სამომავლო გაფართოების პროექტის“ საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილება. მოსალოდნელია, რომ პროექტი „თენგიზის“ ნედლი ნავთობის წარმოებას წელიწადში 12 მლნ ტონიდან 39 მლნ ტონამდე გაზრდის.

BP-ის „მსოფლიო ენერჯეტიკის სტატისტიკური მიმოხილვის“ თანახმად, ყაზახეთის დადასტურებული ნავთობის რეზერვები 2016 წლის დასაწყისისათვის 30 მლრდ ბარელს შეადგენდა.

ყაზახეთის სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, ნავთობისა და გაზის კონდენსატის წარმოებამ 2016 წელს ყაზახეთში 78.04 მლნ ტონას მიაღწია, რაც 2015 წლის მონაცემებს 1.8%-ით ჩამორჩება. (*News.az, 2017*)

თუზის ტბის გაზსაცავი იხსნება

10 თებერვალს თურქეთმა ქვეყნის ენერჯეტიკული სტაბილურობის ხელშემწყობი კიდევ ერთი პროექტი გაუშვა ექსპლუატაციაში. ცენტრალური ანატოლიის სამხრეთით მდებარე თუზის ტბის მიწისქვეშა გაზსაცავი საზეიმო ვითარებაში, პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის, პრემიერ-მინისტრის ბინალი ილდირიმისა და ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბერატ ალბაირაკის თანდასწრებით გაიხსნა. „თუზის გაზსაცავში“ ჩაიტვირთა გაზის ის ნაწილიც, რომლის ქვაბულში მუდმივად გაჩერება საჭიროა მისი ერთიანობის უზრუნველსაყოფად. მიწისქვეშა გაზსაცავი წარმოადგენს ქვეყანაში თხევადი გაზის მიმართულებით განხორციელებულ ბოლო ინვესტიციას, რომელსაც თურქეთი თავისი ენერჯეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან საშუალებად განიხილავს.

გაზსაცავი 12 ხელოვნური ქვაბულისაგან შედგება, რომლებიც ტბის ქვემოთ 1 400 მეტრზეა განთავსებული. ყოველი ქვაბული 63-დან 750 ათას მ³-მდე ბუნებრივი გაზის მოცულობაზე მუშაობს. გაზსაცავი თურქეთს დღიურად 44 მლნ მ³ გაზით უზრუნველყოფს. პროექტის ღირებულებამ 700 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

8 თებერვალს მსოფლიო ბანკის მიერ თურქული სახელმწიფო კომპანია BOTAS-თვის „ტრანს-ანატოლიური“ გაზსადენის მშენებლობის მიზნით გამოყოფილი 400 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ, მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტმა კირილ მიულერმა განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკი გააგრძელებს თურქეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროექტების მხარდაჭერას.



NG Asia, 2011. Turkey, China to build Tuz Gölü gas storage

„ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ვიქნებით ცენტრალური ანატოლიის სამხრეთში თუზის ტბის გაზსაცავის გაფართოების ერთ-ერთი დამფინანსებლები, რომელიც ყოველ წლიურად, დაახლოებით, 1 მლრდ მ³ გაზის მიწოდებას გულისხმობს. ჩვენ ვგეგმავთ ამ პროექტის მნიშვნელოვანი დაფინანსება ერთი წლის განმავლობაში დავამტკიცოთ“, - აღნიშნა მიულერმა და ხაზი გაუსვა მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებას, საკუთარი წვლილი შეიტანოს როგორც თურქეთის, ასევე, რეგიონის ენერგოუსაფრთხოებაში.

აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ „ანადოლუს სააგენტოსათან“ საუბრისას მიულერმა თქვა, რომ გარდა ენერგოუსაფრთხოებისა და წყაროების დივერსიფიცირებისა, მსოფლიო ბანკისათვის „ტანაპს“ სოციალური დატვირთვაც აქვს. პროექტი ხელს უწყობს სოციალური პირობებისა და დასაქმების გაუმჯობესებას იმ რეგიონებში, რომელშიც გაზსადენი გადის და დასძინა, რომ მიმდინარეობს მნიშვნელოვანი კვლევები პროექტის სოციალური შედეგების შესწავლის მიზნით.

მიულერმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებასა და პროექტის სპონსორებთან შეხვედრით ისინი უმზრუნველყოფენ სხვა დამფინანსებლების მოზიდვას, რადგან „მსოფლიო ბანკის“ სტანდარტების გამოყენებით პირობები მარტივდება. მან ასევე დასძინა, რომ მიმდინარე წელს ისინი დაეხმარებიან თურქეთის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარების განაცხადებს.

მსოფლიო ბანკმა 2006 წელს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე მოახდინა 325 მლნ აშშ დოლარის ფინანსირება, 2014 წელს კი ხელი მოეწერა კიდევ 400 მლნ აშშ დოლარის ხელშეკრულებას. (*Daily Sabah, 2017*)

რუსეთში „ქარის ძრავების“ პირველი პარკის მშენებლობა დაიწყო

რეგიონის მმართველობის პრეს-სამსახურის ცნობით, ფინურმა ენერჯოკონცერნმა Fortum-მა ულიანოვის ოლქში რუსეთში პირველი ქარის სადგურის მშენებლობა დაიწყო. პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო ინვესტიციების ოდენობა ჯერ-ჯერობით არ დაზუსტებულა, თუმცა მანამდე იტყობინებოდნენ, რომ ულიანოვის ოლქში ქარის გენერატორების პარკის მშენებლობა, დაახლოებით, 65 მლნ ევრო დაჯდება.

ულიანოვის ოლქის გუბერნატორის სერგეი მოროზოვის თქმით, ამ პროექტის რეალიზაციით რეგიონში განახლებადი ენერჯიების მოხმარების წილი ერთიან სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში 20-30%-მდე გაიზრდება.

გუბერნატორმა დასძინა, რომ „განახლებად ენერჯეტიკას აქვს ყოველგვარი საფუძველი, გახდეს რეგიონალური ეკონომიკის ზრდის სერიოზული წერტილი. თვითონ ალტერნატიული ენერჯის განვითარებასთან ერთდ აქტიურად ვმუშაობთ კომპონენტების წარმოების ლოკალიზაციაზე, როგორცაა: მაგენერირებელი მოწყობილობების კომპლექტები, პირების სპეციალიზებული საფარი, დაბალი ძაბვის აპარატურა. ჩვენ ეს სამუშაოები რუსეთში პირველებმა დავიწყეთ და დღითი დღე ვუახლოვდებით რეგიონის ტერიტორიაზე ახალი სამრეწველო კლასტერის ფორმირებას“. (*Новости энергетики, 2017*)

სომხეთი-საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ტენდერში მონაწილეები უკვე ცნობილია

როგორც სომხეთის ენერჯეტიკისა ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იუწყება, სომხეთი-საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობისათვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობაზე განაცხადი სხვადასხვა ქვეყნის რვა კომპანიამ და ერთმა კონსორციუმმა გააკეთა.

პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელების მიზნით, 188 მლნ ევროს ოდენობის კრედიტები და გრანტებია მოზიდული. სამუშაოების დაწყება მიმდინარე წელს იგეგმება.

უწყების მონაცემებით, აირუმში მაღალი ძაბვის მუდმივი დენის სატრანსფორმატორო სადგურისა და ქვესადგურის მშენებლობის პროექტით ჩინური Sinohydro Corporation, გერმანული Siemens AG და შვედურ-ესპანური კონსორციუმი ABB AB-COBRA არიან დაინტერესებულნი.

განაცხადი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე ექვსმა კომპანიამ გააკეთა: Sinohydro Corporation LTD (ჩინეთი), Isolux Ingeneria (ესპანეთი), Dalekovod JSC (ხორვატია), OOO Kaskad-Energo (რუსეთი), KEC International limited (ინდოეთი) და Kaplataru Power Transmission limited (ინდოეთი).

ტენდერის გამარჯვებული საკონკურსო პაკეტების შესწავლის შემდეგ გამოვლინდება.



Energy Advisory, 2017. Contenders in tender for construction of Armenia-Georgia power transmission line already known

პროექტის მიზანს, რომელიც გერმანული ბანკის KfW მხარდაჭერით ქვესადგურისა და სომხეთი-საქართველოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას გულისხმობს, სომხეთისა და საქართველოს ენერგოსისტემების გაერთიანება წარმოადგენს. ამით ორ ქვეყანას შორის ენერგო გაცვლის სიმძლავრე 200 მგვტ-დან 350 მგვტ-მდე, ხოლო მეორე ეტაპზე 700 მგვტ-მდე გაიზრდება, პროექტის დასრულების შემდეგ კი ის 1 050 მგვტ-ს მიაღწევს, გამომდინარე ბაზრისა და რეგიონალური თანამშრომლობის მოთხოვნებიდან.

პროგრამის რეალიზაციის შედეგად, სომხეთისა და საქართველოს ენერგოსისტემები სინქრონულ რეჟიმში იმუშავებს. ამოქმედებული ელექტროგადამცემი ხაზები საშუალებას მისცემს განვითარდეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა რეგიონალური დერეფნის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის ფორმატში. (*Energy Edvisory, 2017*)

სომხეთში ენერჯის სუფთა წყაროების ხელშეწყობის მიზნით IFC 140 მლნ აშშ დოლარის ფინანსირებას უზრუნველყოფს

IFC-იმ, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა, განაცხადა რომ სუფთა ენერჯის ხელშეწყობის მიზნით, 140 მლნ აშშ დოლარის საინვესტიციო პაკეტი გამოიყო სომხეთის ერთ-ერთი მთავარ გენერაციის ობიექტის „ვოროტანის“ ჰიდროელექტროსადგურებისათვის.

ეს სომხეთის ენერჯოსექტორის პირველი მსხვილი საერთაშორისო სასესხო ვალდებულების პაკეტია. დაფინანსებას ContourGlobal-ის შვილობილი კომპანია ContourGlobal Hydro Cascade მიიღებს, რომელიც 2015 წლიდან მართავს „ვოროტანის“ კასკადს. პაკეტი მოიცავს 45 მლნ აშშ დოლარის სასესხო ვალდებულებას საკუთრივ IFC-ის ანგარიშიდან, 65 მლნ აშშ დოლარის სესხს ნიდერლანდების განვითარების ბანკიდან (FMO) და 30 მლნ აშშ დოლარის სესხს გერმანიის საინვესტიციო და განვითარების კორპორაციიდან (DEG).

ContourGlobal-ს სესხი დაეხმარება, განახლოს 404 მგვტ სიმძლავრის „ვოროტანის“ კომპლექსი, რომლის ნაწილი, დაახლოებით, ორმოცი წლისაა. იგეგმება, რომ შედეგად, ობიექტი წელიწადში 1 150 გვტ ელექტროენერჯის წარმოებას უზრუნველყოფს და წელიწადში 55 ათას ტონაზე მეტი სათბურის გაზების გაფრქვევის თავიდან აცილებით, ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას.



International Finance Corporation, N.D

„ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ დასრულდა „ვოროტანის“ დაფინანსების ეს ინოვაციური გრძელვადიანი პაკეტი. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს პარტნიორებს IFC-დან, FMO-დან და DEG-დან პროექტისადმი ერთგულებისათვის,“ - განაცხადა ContourGlobal Hydro Cascade-ის გენერალურმა მენეჯერმა არა ჰოვსეპიანმა. „ასევე გვინდა, მადლობა გადავუხადოთ სომხეთის მთავრობას ამ ტრანზაქციის ხელშეწყობის მიმართულებით გაწეული მუშაობისათვის. მათ უზრუნველყვეს კაპიტალის სტაბილური, გრძელვადიანი სტრუქტურა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავაგრძელოთ მუშაობა ობიექტის ოპერირების, უსაფრთხოების, საიმედოობისა და ეფექტურობის მსოფლიო დონის მასშტაბებთან შესაბამისობის კუთხით“.

აღნიშნული ფინანსური პაკეტი წარმოადგენს IFC-ის მიერ სომხეთის ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ პირველ სასესხო ინვესტიციას. სესხის გარდა, IFC არის საპროცენტო სვოპის ერთადერთი მიმწოდებელი, რაც ContourGlobal Hydro Cascade-ს დაფინანსების პაკეტზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის ჰეჯირებაში დაეხმარება, დაიცავს რა მას საპროცენტო განაკვეთის რყევებისგან. IFC არის ერთ-ერთი იმ რამდენიმე განვითარებაზე ორიენტირებული საფინანსო ინსტიტუტთაგანი, რომელიც ჰეჯირების ინსტრუმენტებს სთავაზობს თავის კლიენტებს - კერძო სექტორის კომპანიებს ფორმირებადი ბაზრების ქვეყნებში, რათა უკეთ მართონ საპროცენტო და სავალუტო რისკები.

„ვოროტანის“ კასკადი სამი ჰიდროელექტროსადგურისაგან შედგება და სომხეთის ელექტროენერჯის 15%-ს გამოიმუშავებს. მისი სიმძლავრის გაზრდა ქვეყნისათვის, რომელიც თავისი ენერგეტიკული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საწვავის, დაახლოებით, 90%-ის იმპორტს ახორციელებს, მნიშვნელოვანი ამოცანაა. 2015 წელს IFC-იმ ContourGlobal Hydro Cascade-ის მცირე წილი შეიძინა, რითაც მხარი დაუჭირა სომხეთში კერძო სექტორის ენერჯო დეველოპერსა და ოპერატორს და დაეხმარა კომპანიას, შეესყიდა „ვოროტანის“ ჰესების კასკადი, უზრუნველყო მისი ფუნქციონირება და რეაბილიტაცია.

სომხეთი IFC-ის წევრი 1995 წელს გახდა. მას შემდეგ IFC-ის გრძელვადიანმა საინვესტიციო ვალდებულებებმა 480 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის დაახლოებით 118 მლნ აშშ დოლარი მობილიზებულია სხვა კრედიტორებისგან. ამ სახსრებით სექტორის მასშტაბით 49 პროექტი დაფინანსდა, ფინანსური ბაზრების, წარმოების, სოფლის მეურნეობის, მომსახურებისა და სამთო ინდუსტრიის ჩათვლით. გარდა ამისა, IFC, თავისი ვაჭრობის დაფინანსების პროგრამის მეშვეობით, მხარს უჭერს 130 მლნ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების სავაჭრო ოპერაციებს და ახორციელებს კერძო სექტორის განვითარებაზე მიმართულ საკონსულტაციო პროექტებს. 2016 ფისკალურ წელს IFC-იმ განვითარებად ქვეყანაში, დაახლოებით, 19 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. (*Energy Advisory, 2017*)

მსოფლიოში მიმდინარე ძირეული ენერგეტიკული ცვლილებების შესახებ, ან მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაცია და მისი ანალიზი, სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ანალიზი.

2016 წელს ევროპამ წარმოებული ენერჯის 90%-მდე განახლებადი წყაროებიდან მიიღო

გასულ წელს ევროპის ენერგოქსელში დამატებული ენერჯის თითქმის 90% განახლებადი რესურსებიდან იქნა მიღებული, რაც კონტინენტის მიერ წიაღისეული საწვავიდან განახლებად რესურსებზე სწრაფი გადასვლის შედეგია. თუმცა სექტორის ლიდერები შიშობენ, რომ 2020 წლიდან, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის განახლებადი ენერჯის მიზნები დასრულდება, სექტორს აღარ ექნება პოლიტიკური მხარდაჭერა.



Vaughan Adam, 2017. Almost 90% of new power in Europe from renewable sources in 2016

2016 წელს ევროკავშირის დადგმული სიმძლავრე 24.5 გვტ იყო, რომლის 86%-ს - 21.1 გვტ-ს ქარის, მზის, ბიომასისა და ჰიდრო რესურსები შეადგენდა, რაც 2014 წლის 79%-იან მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება.

WindEurope-ის მონაცემების თანახმად, ქარის ენერჯიამ პირველად შეადგინა მთლიანი სიმძლავრის ნახევარზე მეტი. მან გაუსწრო ქვანახშირს და ბუნებრივი გაზის შემდეგ ევროკავშირის მეორე ყველაზე დიდი ენერგორესურსი გახდა. თუმცა ქარის ტექნოლოგიის სეზონურობის გამო, ქვანახშირი ჯერ კიდევ მოთხოვნადია ელექტრო ენერგეტიკული ბლოკებისათვის.

2016 წელს დადგმული სიმძლავრით გერმანია ლიდერობდა, ხოლო საფრანგეთმა, ნიდერლანდებმა, ფინეთმა, ირლანდიამ და ლიტვამ რეკორდული რაოდენობის ქარის დანადგარები დაამონტაჟეს.

ყველაზე დიდი პროექტს წარმოადგენს Gemini-ს ქარის სადგური ნიდერლანდების სანაპიროზე, რომელიც ქსელში გასული წლის თებერვალში ჩაერთო და დასრულების შემდეგ მსოფლიოს მეორე ყველაზე დიდი ქარის სადგური იქნება. მას მოჰყვება ორი დიდი ოფშორული ქარის სადგური: გერმანიის Gode Wind 1 და 2 (582 მგვტ) და ნიდერლანდების Westermeerwind (144 მგვტ).

„პროექტების რაოდენობა ამ გადმოსახედიდან დამაკმაყოფილებელია და ინვესტიციის ოდენობაც კარგია, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ევროკავშირის 28 ქვეყნიდან მხოლოდ შვიდს აქვს მკაფიო პოლიტიკა ქარის ენერჯის წარმოების შესახებ. დღეს უფრო ნაკლებ პოლიტიკურ ინიციატივას ვხედავთ, ვიდრე ვხედავდით 3, ან თუნდაც 5 წლის წინ. ევროკავშირმა შეამცირა ზეწოლა წევრ ქვეყნებზე ქვანახშირის ძველი სადგურების დახურვის თაობაზე“, - განაცხადა WindEurope-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯაილს დიქსონმა.

ესპანეთი, პორტუგალია, იტალია და საბერძნეთი, რომლებმაც ერთად დაიწყეს ქარის ენერჯის განვითარება 2000-იან წლებში, ახლა მხოლოდ უმნიშვნელო მოცულობას აწარმოებენ.

პოლონეთმა შარშან მიიღო შემზღუდველი კანონი იმის შესახებ, თუ რა დაშორებით უნდა იყოს ქარის სადგურების დასახლებულ პუნქტებთან, რამაც ქვეყანაში ინდუსტრიის განვითარების შეფერხება გამოიწვია. (Vaughan A., 2017)

ნორვეგია: Lundin Petroleum ბარენცის ზღვის სამხრეთ ნაწილში ნავთობის აღმოჩენის შესახებ ანონსებს

Lundin Petroleum-მა განაცხადა, რომ მისმა შვილობილმა კომპანიამ Lundin Norway-მ „ფილიკუდის“ გამოვლინებაში 7219/12-1 ძირითად ჭაბურღილში ნავთობი და გაზი აღმოაჩინა და ახლა გვერდითი ლულის 7219/12-1A ბურღვას ახორციელებს. ჭაბურღილები განლაგებულია „იოჰან კასტერგის“ გამოვლინებიდან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 40კმ და „ალტასა“ და „გოტას“ გამოვლინებებიდან 30 კმ ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთ ბარენცის ზღვაში.

ბურღვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იურულ და ტრიასულ ქვიშოვან რეზერვუარებში ნავთობის არსებობის დადასტურება.

ჭაბურღილი ჯამურად 129 მეტრის ნახშირწყალბადოვან სვეტს შეიცავს მაღალი ხარისხის ქვიშოვანი რეზერვუარის იურულ და ტრიასულ ქანებში არსებული 63 მეტრი

ნავთობითა და 66 მეტრი გაზით. განხორციელდა დიდი რაოდენობით მონაცემებისა და ნიმუშების აღება. გვერდითმა ლულამ მიაღწია ჯამურ სიღრმეს და დაადასტურა მარაგებისა და ნახშირწყალბადების სვეტის არსებობა. „ფილიკუდის“ გამოვლინების მარაგების სავარაუდო რაოდენობა 35-დან 100-მდე მლნ ბარელის ნავთობის ეკვივალენტია. ბურღვის შედეგები მიუთითებს ზრდის მნიშვნელოვან პოტენციალზე, რაც შემფასებელი ჭაბურღილების შემდგომ ბურღვას მოითხოვს.

„ფილიკუდი“ „იოჰან კასტბერგის“ გამოვლინების მიმართულებაშია 500 მლნ ბარელი ნავთობის ეკვივალენტით, ქანების მსგავსი ინტერვალით. „ფილიკუდის“ მიმართულებაზე საწარმოო ლიცენზიის PL53 ფარგლებში აღმოჩენილ იქნა რამდენიმე დამატებითი გამოვლინება, დაახლოებით, 700 მლნ ბარელი ნავთობის ეკვივალენტის პერსპექტიული რესურსებით. პარტნიორები 2017 წელს კიდევ ორი დამატებითი გამოვლინების ბურღვას განიხილავენ. PL53-ში არის ორი დამოუკიდებელი მაღალი ხარისხის გამოვლინება: „ჰუფსა“, რომელიც შეიცავს 285 მლნ ბარელ ნავთობის ეკვივალენტს და „ჰური“ - ჯამური პერსპექტიული რესურსებით 218 მლნ ბარელი ნავთობის ეკვივალენტი. „ფილიკუდის“ წარმატებამ შეამცირა რისკი და ორივე გამოვლინებას 25%-იანი შანსი აქვს.

ნახევრად ჩადირული საბურღი მოწყობილობა Leiv Eiriksson „ფილიკუდის“ გამოვლინებიდან PL533 გადავა „გოტას“ გამოვლინებაზე PL492 მასზე მეორე ჭაბურღილის გასაბურღად.

Lundin Norway წარმოადგენს ორივე - PL533 და PL492 სალიცენზიო ბლოკების ოპერატორს და ამ ლიცენზიების 35% და 40%-ს ფლობს შესაბამისად. (*Energy Pedia News, 2017*)

კანადური ნავთობის ჩინეთის მიმართულებით გადაზიდვა განხორციელდა

ოპეკის მიერ ნავთობის შემცირების ფონზე, ატლანტიკურ კანადური ნავთობის ტანკერი მთელი მსოფლიოს გავლით ჩინეთის ბაზრისკენ სავარაუდოდ, პირველად გაემგზავრა.

Husky Energy Inc.-ის წარმომადგენელმა მელ დუვალმა დაადასტურა ინფორმაცია, კომპანიის მიერ 1 მლნ ბარელი კარგოს ჩინეთისთვის მიყიდვის თაობაზე, რომელიც დანიშნულების ადგილზე ამ თვის ბოლოსთვის ჩავა.

ჩინეთის ბაზარი კანადური ნავთობისთვის საკმაოდ უჩვეულო სამიზნეს წარმოადგენს, ვინაიდან ადგილობრივი, აშშ-სა და ევროპული ბაზრები ბევრად უფრო ახლოსაა კანადის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ვიდრე აზიის ბაზრები.

დუვალს არ დაუდასტურებია კარგოს მარშრუტი, თუმცა Platts-ის ანგარიშის თანახმად, სავარაუდოდ, კარგოს გზად დაემატება ვენესუელის მძიმე ნავთობი და ისე განაგრძობს გზას ჩინეთისკენ.



Morgan Geoffrey, 2017. Atlantic Canadian oil headed to China for the first time amid OPEC cuts

Platts-ის ინფორმაციის თანახმად, კანადიდან ჩინეთის მიმართულებით პირველად ხორციელდება გადაზიდვა, თუმცა დუვალს არც ეს ინფორმაცია დაუდასტურებია. ენერგო მკვლევარმა და კანადური ენერგო ინდუსტრიის წამყვანი კომპანიის ARC Financial Corp-ის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მათ არ სმენიათ აქამდე განხორციელებული მსგავსი მარშრუტის გადაზიდვის შესახებ, ვინაიდან კანადიდან აზიის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირება მაღალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

ნავთობის მწარმოებელთა კანადური ასოციაციის თანახმად, ადგილობრივად წარმოებული ნავთობის ექსპორტი ძირითადად აშშ-ში, ან ევროპის ისეთ ქვეყნებში ხორციელდება, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ნიდერლანდები და იტალია. (Morgan G., 2017)

იაპონური კომპანია განახლებად ენერჯიაში 200 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს

იაპონურმა ენერჯეტიკულმა კომპანია Jera Trading-მა ინდური განახლებადი ენერჯიების ფირმის ReNew Power Ventures 10%-იანი წილი 200 მლნ აშშ დოლარად შეისყიდა. კომპანია ReNew Power 6 წლის წინ დაარსდა და მისი ამჟამინდელი ღირებულება 2 მლრდ აშშ დოლარია.

კომპანია ReNew Power მთელი ინდოეთის ტერიტორიაზე 1.5 გვტ სიმძლავრეს ფლობს, დამატებით 1.8 გვტ კი განვითარების ეტაპზეა. კომპანიის თქმით, 2016 წლის

აპრილში ის გახდა პირველი ინდური კომპანია, რომელმაც ჯამურად მზისა და ქარის 1 გვტ ენერჯია აწარმოა. ინდოეთში ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, ელ.ენერჯიაზე მოთხოვნაც სწრაფად იზრდება. ინდოეთის მთავრობამ 2022 წლისთვის 100 გვტ მზისა და 60 გვტ ქარის ენერჯიის გამოიმუშავება დაისახა მიზნად.

Jera, როგორც ReNew-ს აქციონერი კომპანია, ReNew-ს ტექნიკურ, ოპერაციული, პროექტების განვითარების საკითხებში დაეხმარება. ასევე, გაუზიარებს კომპანიის მართვის გამოცდილებას, რომელიც გლობალურ ენერჯეტიკის ბიზნესიდან აქვს მიღებული.

„ეს არის Jera-ს პირველი მსხვილი გარიგება განახლებადი ენერჯიის სფეროში. იგი მნიშვნელოვან როლს შესძენს Jera-ს საზღვარგარეთ განვითარებული დაბალანსებული ენერჯიის გამოიმუშავების პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს განახლებად ენერჯიებსაც. პორტფოლიოში განახლებადი ენერჯიების დამატება წარმოადგენს კომპანიის მდგრადი განვითარების გეგმის განუყოფელ ნაწილს,“ - განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

Jera წარმოადგენს Tokyo Electric and Chubu Electric-ის მიწოდებისა და ვაჭრობის (50/50) ერთობლივ საწარმოს. თავდაპირველად იგი დაკავებული იყო გათხევადებული გაზის შესყიდვითა და ვაჭრობის ოპერაციებით. გასული წლის ბოლოს Jera-სა და ბრიტანულ კომპანია EDF Energy-ს შორის მიღწეული შეთანხმების შემდეგ, რომლის დასრულებაც გათვალისწინებულია აპრილის თვეში, ის ნახშირის ბაზრის ძირითადი მონაწილეც გახდა. (*Sharma S., 2017*)

ტექნოლოგიური სიახლეების, ენერგეტიკული ტენდენციებისა და მსოფლიო ენერგეტიკული მიღწევების ანალიზი

ენერგეტიკის სექტორის საინვესტიციო გარემოს ცვალებადი სურათი

რადგან გლობალური ენერგეტიკული სექტორი ძირფესვიან ტრანსფორმაციას განიცდის, საინვესტიციო გადაწყვეტილებები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ასეთი გადაწყვეტილებები განსაკუთრებულ როლს თამაშობს ენერგეტიკული უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტისას და გავლენას ახდენს ენერგეტიკის სექტორის მომავალ პერსპექტივებზე.

IEA-ს მიერ გასულ წელს ჩატარებული ანალიზის თანახმად, 2015 წელს ენერგეტიკის სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 1.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გლობალური მშპ-ს დაახლოებით 2.5%-ია. ეს რიცხვი მოიცავს ნავთობსადენებზე, ენერგო ეფექტურობასა და ნავთობისა და გაზის რესურსებზე გაწეულ ხარჯებს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ენერგო უსაფრთხოებაში. ინვესტიციის აღნიშნულ ოდენობაში ასევე შედის განახლებადი ენერჯის, ელექტრომობილებისა და ელექტროენერჯის შენახვის ტექნოლოგიების ხარჯები, რითაც ხელი შეეწყო სუფთა ენერჯიაზე გადასვლის პროცესს.



IEA, 2017. The changing landscape of energy investment

2017 წლის 6 თებერვალს გაიმართა IEA-ს მიერ ორგანიზებული შეხვედრა მსოფლიო ენერგეტიკის საინვესტიციო გარემოს საკითხზე. დისკუსიის მთავარ საგანს

წარმოადგენდა ინვესტიციების განვითარების სამი ძირითადი მიმართულება ენერგეტიკის სექტორში.

პირველი ტენდენცია ეხება ენერგოსექტორის მთლიანი სურათის ცვლილებას, რამაც საწვავებს შორის კონკურენციის ცვლილება გამოიწვია. ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა ტექნოლოგიების განვითარებასა და მზის პანელების, სახმელეთო ქარისა და ისეთი ტრადიციული ენერჯის ინფრასტრუქტურის ღირებულების შემცირებას, როგორებიცაა ნავთობი და გაზი. ამავდროულად, ინვესტიციებმა გადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურაში ამ ახალი ტექნოლოგიებისთვის საკვანძო მნიშვნელობა შეიძინა. ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინვესტიციების აუცილებლობას ენერგეტიკის სექტორში.

მეორე საკითხი გულისხმობს ენერგეტიკის სექტორის გარდამავალ პერიოდს, რომელსაც შეიძლება ისტორიულიც ვუწოდოთ. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენები ტექნოლოგიების განვითარება სწრაფად მიმდინარეობს, მაინც ჩნდება გარკვეული კითხვები. როგორ რეაგირებას მოახდენენ კომპანიები და ინვესტორები ენერგეტიკული ტექნოლოგიების ცვლილებაზე, ენერჯის ფასების დაბალანსებასა და ბიზნეს-მოდელების ცვლილებებზე? როგორ გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი კონკრეტულად ენერგეტიკის სექტორში განსახორციელებელი მომავალი ინვესტიციების ფორმაზე?

ჩრდილოეთ ამერიკაში ნავთობისა და გაზის მოპოვებაში ინვესტიციების რაოდენობამ მომწოდებლებისთვის დამაიმედებელი სურათი აჩვენა, რომლებიც მომავალი ათწლეულის მანძილზე, დაბალ ემისიურ საწვავზე გადასვლის პროცესში, ჯერ კიდევ ნახავენ სარგებელს გაზსა და ნავთობზე მოთხოვნიდან. მიუხედავად ამისა, იმის გამო რომ საინვესტიციო ციკლების ურთიერთ გადაფარვას ჰქონდა ადგილი, რომლის დროსაც ფიქალის გაზის მოკლევადიანი პროექტები კონკურენციას უწევდა ტრადიციული ნავთობის გრძელვადიან პროექტებს, რჩება კითხვები იმის შესახებ, თუ რა ოდენობის ინვესტიციაა საჭირო დღეს, ხვალინდელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. რა რეაგირება მოჰყვება ინდუსტრიისაგან აქციონერთა ზეწოლაზე, კლიმატის ცვლილების პრობლემასა და ტექნოლოგიების გაზრდილ კონკურენციაზე?

მესამე საკითხი მოიცავს ენერგეტიკის სექტორის დაფინანსების ტენდენციას, რომელიც დროთა განმავლობაში ადაპტირდება ცვალებად პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ და მიკროეკონომიკურ გარემოსთან. ენერგეტიკის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების წილი, რომელიც ხორციელდება მარეგულირებელი და სამართლებრივი ღონისძიებების მეშვეობით, იზრდება ძირითადად განახლებადი ენერჯის კუთხით, თუმცა ინვესტირება ასევე ხდება ატომური, ბუნებრივი გაზისა და ქვანახშირის ენერჯის

მიმართულებითაც. ის, თუ როგორ რეაგირებს რესურსები და დანახარჯები პოლიტიკასა და ბაზრის გაურკვევლობაზე, განსაზღვრავს რა მიმართულება აქვს ფულად ნაკადებს და რომელი აქტივი დარჩება სისტემაში მომავალ წლებში.

საფინანსო სექტორის განვითარება გავლენას ენერგეტიკის სექტორზეც ახდენს. დაფინანსების ინოვაციურს მეთოდებს შესაძლოა, შედეგად მდგრადი ენერგეტიკული ტექნოლოგიების განვითარება მოჰყვეს, საკმაოდ მიმზიდველი ფასის პირობებში. თუმცა, მეორეს მხრივ, არასასურველ გვერდით ეფექტებსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. (IEA, 2017)

ბიზნესკონტრაქტი, 2017. *ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მზის პანელების წარმოებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს*

ბიზნესკონტრაქტი

ვებ-გვერდი:

<http://businesscontract.ge/ka/article/qutaisis-tavisufal-industriul-zonashi-mzis-panelebis-warmoebaze-molaparakebebi-mimdinareobs/9456>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი, 2017. *ნამახვან ჰესების კასკადის პროექტს CLEAN ENERGY GROUP GEORGIA განახორციელებს*

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი

ვებ-გვერდი:

<http://gedf.com.ge/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%90%E1%83%93-4/>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. *თბილისი საერთაშორისო კონგრესს მასპინძლობს „ჰიდროენერგეტიკა, კასპიის ზღვა და ცენტრალური აზია“*

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=678&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. *თბილისი საერთაშორისო კონგრესს მასპინძლობს „ჰიდროენერგეტიკა, კასპიის ზღვა და ცენტრალური აზია“ [ფოტო]*

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=678&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Daily Sabah, 2017. *Lake Tuz Natural Gas Storage Facility opens*

Daily Sabah

ვებ-გვერდი:

<https://www.dailysabah.com/energy/2017/02/11/lake-tuz-natural-gas-storage-facility-opens>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Energy Advisory, 2017. *Contenders in tender for construction of Armenia-Georgia power transmission line already known*

Energy Advisory

ვებ-გვერდი:

<http://www.advisory.am/news.html>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Energy Advisory, 2017. *Contenders in tender for construction of Armenia-Georgia power transmission line already known* [ვოტო]

Energy Advisory

ვებ-გვერდი:

<http://www.advisory.am/news.html>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Energy Advisory, 2017. *IFC arranges \$140 million in financing to boost clean energy supplies in Armenia*

Energy Advisory

ვებ-გვერდი:

<http://www.advisory.am/news.html>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Energy Pedia News, 2017. *Norway: Lundin Petroleum announces oil discovery in the Filicudi Prospect in the southern Barents Sea*

Energy Pedia News

ვებ-გვერდი:

<http://www.energy-pedia.com/news/norway/lundin-petroleum-announces-oil-discovery-in-the-filicudi-prospect-in-the-southern-barents-sea-169891>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

IEA, 2017. *The changing landscape of energy investment*

IEA

ვებ-გვერდი:

<https://www.iea.org/newsroom/news/2017/february/the-changing-landscape-of-energy-investment.html>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

IEA, 2017. *The changing landscape of energy investment* [ვოტო]

IEA

ვებ-გვერდი:

<https://www.iea.org/newsroom/news/2017/february/the-changing-landscape-of-energy-investment.html>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

International Finance Corporation, N.D [ვოტო]

ვებ-გვერდი:

http://www.ifc.org/wps/wcm/connect/corp_ext_content/ifc_external_corporate_site/home

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Morgan Geoffrey, 2017. *Atlantic Canadian oil headed to China for the first time amid OPEC cuts*
Financial Post

ვებ-გვერდი:

<http://business.financialpost.com/news/energy/atlantic-canadian-oil-headed-to-china-for-the-first-time-amid-opec-cuts>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Morgan Geoffrey, 2017. *Atlantic Canadian oil headed to China for the first time amid OPEC cuts*
Financial Post

ვებ-გვერდი:

<http://business.financialpost.com/news/energy/atlantic-canadian-oil-headed-to-china-for-the-first-time-amid-opec-cuts>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

News.az, 2017. *EIB interested in Absheron field's development*

News.az

ვებ-გვერდი:

<http://news.az/articles/economy/118517>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Natural Gas Asia, 2011. *Turkey, China to build Tuz Gölü gas storage [ფოტო]*

Natural Gas Asia

ვებ-გვერდი:

<http://www.naturalgasasia.com/turkey-china-to-build-tuz-gl-gas-storage-3715>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

News.az, 2017. *Kazakhstan revives plans for oil route through Azerbaijan*

News.az

ვებ-გვერდი:

<http://news.az/articles/economy/118509>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

News.az, 2017. *Kazakhstan revives plans for oil route through Azerbaijan [ფოტო]*

News.az

ვებ-გვერდი:

<http://news.az/articles/economy/118509>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Trend.Az, 2017. *EIB interested in Absheron field's development [ფოტო]*

Trend.Az

ვებ-გვერდი:

<http://en.trend.az/business/energy/2716663.html>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Vaughan Adam, 2017. *Almost 90% of new power in Europe from renewable sources in 2016*

The Guardian

ვებ-გვერდი:

<https://www.theguardian.com/environment/2017/feb/09/new-energy-europe-renewable-sources-2016>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Vaughan Adam, 2017. *Almost 90% of new power in Europe from renewable sources in 2016*
[ფოტო]

The Guardian

ვებ-გვერდი:

<https://www.theguardian.com/environment/2017/feb/09/new-energy-europe-renewable-sources-2016>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

SA Power Networks, N.D. *Installing a solar PV system* [ფოტო]

SA Power Networks

ვებ-გვერდი:

http://www.sapowernetworks.com.au/centric/customers/installing_a_solar_pv_system.jsp

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]

Shardul Sharma, 2017. *Japanese Jera Invests \$200 mn in Renewables*

Natural Gas Europe

ვებ-გვერდი:

<http://www.naturalgasworld.com/japanese-jera-makes-first-major-investment-in-renewable-energy-space-35959>

[გამოყენების თარიღი: 17 თებერვალი, 2017]